

შპს „დორანი“


2024 წლის

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის

	31/12/2024	31/12/2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	924,152	412,182
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	292,462	249,632
ბიოლოგიური აქტივები	1,996,861	1,996,861
ძირითადი საშუალებები	2,216,690	1,050,031
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	7,000	7,000
სულ აქტივები	5,437,165	3,715,706
ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	346,313	31,220
საგადასახადო ვალდებულებები	20,871	16,090
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	1,450,675	534,923
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	1,233,310	1,109,458
სხვა ვალდებულებები	1,766	1,224
სულ ვალდებულებები	3,052,935	1,692,915
საკუთარი კაპიტალი		
კაპიტალი	3,631,792	3,580,735
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	-3,458,169	-3,729,460
გადაფასების რეზერვი	1,996,861	1,996,861
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	213,746	174,655
სულ საკუთარი კაპიტალი	2,384,230	2,022,791
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	5,437,165	3,715,706

დირექტორი



გ. ზირაქაშვილი

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული შემოსავლისა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	1,311,384	1,452,137
საქონლის გაყიდვიდან	1,296,900	1,452,137
სხვა	14,484	0
გაყიდვების თვითღირებულება	-214,026	-274,199
საერთო მოგება	1,097,358	1,177,938
დასაქმებულთა ანაზღაურება	-383,268	-409,157
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	-230,100	-159,372
საპროცენტო ხარჯი	-141,706	-153,924
იჯარის ხარჯი	-194	-212
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-78,469	-71,595
სულ საოპერაციო ხარჯები	-833,737	-794,260
საოპერაციო მოგება	263,621	383,678
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე	263,621	383,678
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	263,621	383,678
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	263,621	383,678
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	2,022,791	1,807,663
კაპიტალის გაზრდა	51,057	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	46,761	-168,550
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	2,384,230	2,022,791

დირექტორი




გ. ზირაქაშვილი

2024 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფულადი სახსრების მოძრაობის
ანგარიშგება

	31/12/2024	31/12/2023
საოპერაციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	121,897	615,020
საინვესტიციო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	-1,060,601	443,420
საფინანსო საქმიანობიდან წარმოქმნილი (საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული) წმინდა ფულადი ნაკადები	1,450,674	-722,248
ფულადი სახსრების შემოსვლა (გასვლა)	511,970	336,192
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	412,182	75,990
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	924,152	412,182

დირექტორი



გ. ზირაქაშვილი

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები 2024 წ. 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დორანი“ დაარსებულია 2004 წელს. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ახმეტის მუნიციპალიტეტი. მისი ძირითადი საქმიანობაა თხილის მოყვანა და რეალიზაცია.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში, ლარში (GEL).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და გადაეცემა საკუთრების უფლება. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, არაწრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები: შენობა-ნაგებობები 5 პროცენტი, მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 20 პროცენტი.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები


სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულების თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი მოვიდა - პირველი გავიდა“ (FIFO) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

სავაჭრო ვალდებულებები

დირექტორი



გ. ზირაქაშვილი

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

3. განმარტებითი შენიშვნები

ა) ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები

მუხლში „ფული და ფულის ეკვივალენტები“ აგრეგირებულია ნაღდი ფული საღაროში და ფული საბანკო ანგარიშებზე, შემდეგი მნიშვნელობებით:

	31/12/23	01/01/23
	924,152	
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე		412,182

მუხლი „ძირითადი საშუალებები“ ასახავს მიწის, შენობა-ნაგებობების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, სამელიორაციო მოწყობილობების, საოფისე ავეჯის ნაჩენ ღირებულებას.

საანგარიშო პერიოდის დასაწყისისთვის თვის კომპანიის საკუთრებაში იყო 9337 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ქ. ახმეტაში, რომელზედაც განთავსებულია კომპანიის ოფისი და საწარმოო შენობა-ნაგებობები და 154 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები ახმეტის მუნიციპალიტეტში (ქ. ახმეტა, ს. მატანი, ს. ქორეთი), რომელთა ნაწილზე (86 ჰა) გაშენებულია თხილის ნარგავები, ნაწილი კი გამოიყენება სათიბად. პერიოდის განმავლობაში შესყიდულია 20 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ახმეტის მუნიციპალიტეტში, ს. მატანში, კაკლის ნარგავებით.

მუხლი „ბიოლოგიური აქტივები“

კომპანიას 86 ჰა-ზე გაშენებული აქვს თხილის ნარგავები. ნარგავების საშუალო ასაკი არის 12 წელიწადი. მუხლის მნიშვნელობა მიღებულია აქტივის რეალური ღირებულების ადრიცხვის მოდელით.

მუხლი „გრძელვადიანი სესხები“

2019 წ. 1 აპრილის ხელშეკრულებით, საწარმოს ფიზიკური პირისგან აღებული აქვს გრძელვადიანი სესხი, წლიური 12%-იანი სარგებლით. სესხი მიიღება ტრანშებად, მსესხებლის მოთხოვნილი გრაფიკით, 1 500 000 ლარის ფარგლებში. პერიოდის ბოლოსათვის სესხის ძირითადმა ნაწილმა შეადგინა 775,858.14 ლარი, გადასახდელი სარგებლის სრულმა თანხამ შეადგინა 457,452.23 ლარი.

ბ) სრული შემოსავლისა და კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

მუხლის „ამონაგები“ მნიშვნელობა, 1,296,900 ლარი, მოიცავს 2024 წ. რეალიზებული პროდუქციის (თხილი) ღირებულებას:

დირექტორი


გ. ზირაქაშვილი

თხილი გაუტეხავი
თხილის გული

რაოდენობა
168.1 ტონა
4.2 ტონა

მუხლის „ბიოლოგიური აქტივების გადაფასების რეზერვი“ მნიშვნელობა შეესაბამება თხილის ნარგავების ნაწილის სრული მსხმოიარობის ასაკში შესვლის გამო ბიოლოგიური აქტივების რეალური ღირებულების ზრდას.

დირექტორი



გ. ზირაქაშვილი